განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში დედაენის პარკის ტერიტორიაზე (ს/კ 01.18.03.003.021) საკუთრების უფლებით ფლობს შპს ოფის ცენტრი. 2020 წელს აღნიშნული პარკს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია რის შედეგადაც ჩვენ საკუთრებაში არსებული შენობის წინ არსებულ საფეხმავლო გზის ქვეშ დამონტაჟდა პარკისთვის საჭირო კომუნიკაციები (მათ შორის წყალმომარაგების მილები), მოეწყო შადრევანი და სანიაღვრე არხი (50 სმ სიღმის). რეკონსტრუქციის შემდეგ წყალმომარაგების მილების დაზიანების ფაქტები არის ძალიან ხშირი, რომლის შედეგადაც ყოველი დაზიანების შემდგომ წყალი იჟღინთება მიწის ნიადაგში, პოულობს ყველაზე დაბალ წერტილს (ჩვენი შენობის სადრაფს) და შესაბამისად იტბორება მთლიანად სარდაფი. ასევე ძლიერი ნალექის შედეგად შენობის წინ არსებული ღორღის საფარის ქვეშ იჟღინთება წვიმის წყალი და მიწისქვეშა არხების საშუალებით ხვდება შენობის სარდაფის კედელთან. 3 გზით ხდება სარდაფში წყლის მოხვედრა:

1.წვიმის დიდი ნალექის მოსვლის შედგად ნაჟური წყლბით.

2.წყლის მილების დაზიანების შედეგად.

3.შადრევანის გადმონადენი წყლის შედეგად, რომელიც დაზიაებული გზის საფარის გამო ჩაედინება მიწის ქვეშ და მოდის ჩვენი შენობისკენ.

სარდაფის დატბორვის შედეგად დაზიანებულია კედლები, შეინიშნება მცირედი ბზარები, გაჩენილია სოკო. იმდენად ხშირად ხდება დატბორვა, რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნის შენობას და შიდა გარემოს. ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ გატარდეს შესაბამისი ღონიძიებები, რომ აღარ მოხდეს წყლის შემოდინება და არ მივიდეთ სავალალო შედეგებამდე. იმისათვის, რომ აღნიშნული წყლის ნაკადი აღარ მოხვდეს და არ დააზიანოს ჩვენი ქონება განსახილველად გიგზავნით პროექტს, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1.სადრენაჟე არხის მოწყობა, რომელიც შენობის ფასადის გასწვრივ განლაგდება. სარდაფის კედელზე მოეწყობა იზოლაცია და ჩაისხმება 20სმ სისქის წყალგაუმტარი ბეტონი. სადრენაჟე არხი მთლინად შეივსება ღორღით. სადრენაჟე არხის ქვედა ნაწილში მოეწყობა წყალშემკრები მილი.

2.წყალგაუმტარი ბეტონის დასხმა არსებული ღორღის საფარის ნაცვლად (აღნიშნულ ღორღის საფარზე წვიმის ნალექის შედეგად ხდება წყლის გაჟღენთა მიწის ქვეშ და სარდაფში წყლის მოხვედრა), რომელიც არსებულ სანიაღვრე ჭამდე მივა შესაბამისი დახრით (2% დახრა) და გრანიტის ფილების დაგება. აღნიშნული ქმედება ხელს შეუშლის ძლიერი ნალექის მიწის ქვეშ მოხვედრას.

3.სადრენაჟე არხის თავზე, შენობის კუთხეში მოეწყობა სანიაღვრე წყალშემკრები ჭა. საიდანაც შესაბამისი ტუმბოებით მოხდება წყლის გადატანა არსებულ სანიაღვრე არხში.


აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად დაცული იქნება შენობა წყლის მოხვედრისგან და თავიდან აცილებული იქნება სერიოზული გართულებები, რომელიც წყლის შემოდინებამ შეიძლება გამოიწვიოს.

საპროექტო სამუშაოები არ ეხება შიდა ინტერიერს, ასევე აღნიშნული სამუშაოები არ ეხება მოსარგებლეებს.


Revaz Sulava

Digitally signed by Revaz Sulava
DN: cn=Revaz Sulava, serialNumber=PNOGE-01024080499, givenName=Revaz, sn=Sulava, o=Citizen, c=GE
Date: 2024.09.02 16:48:52 +04'00'


არსებული გენგეგმა




არსებული გეგმა




საპროექტო გენგეგმა




საპროექტო გეგმა



ჭრილი



ცხაური(საპროექტო)
გრანიტის ფილები (საპროექტო)
წყლის ტუმბო
არსებული ცხაური
ბეტონის ფილა
არსებული ქსელი
ბეტონის ფილა
700
200
500
400
20
40
500
ბლოკი
სატუმბი მილი (საპროექტო)
40
წყალგაუმტარი ბეტონი 200მმ
3.302
3.302
იზოლაცია 20მმ
ბეტონის საძირკველი
ღორღი
500
გრუნტი
სადრენაჟე მილი (საპროექტო)

საპროექტო გეგმა



10 09 2024

ჭრილი 1-1



საქართველო ქ. თბილისის მერია
შპს "თბილსტრის ჯგუფი"
შემოწმებულია:
საკვლევიანი წარდგენისას მატერიალის საინჟინრო
ნაწყობილების ლაბორატორიის
ტ: 571 51 27 27 10. 09 2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0124256634**
თარიღი: **12/09/2024**

ადრესატი: შპს ოფის ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404429748
მისამართი: დედაენის პარკის ტერიტორია,სანაპიროს ქ. #1

ბატონო რევაზ,

შპს ,,თბილსერვის ჯგუფში" 04.09.2024 შემოსული თქვენი (N:10/01242482580-62) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (ს/კ 01.18.03.003.021) მოსაწყობი სადრენაჟე სისტემის პროექტი შეთანხმებულია სანიაღვრე დეპარტამენტის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.

ბესარიონ ქემოკლიძე

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი


TERRACE
გრანიტის ფილები
2%


ხის დამცავი ზღუდე
გრანიტის ფილები
2%
2%


სანიაღვრე ჭა
ხის დამცავი ზღუდე
2%
გრანიტის ფილები
700
700
2%